HUMAN RIGHTS HOUSE FOUNDATION

HUMAN RIGHTS HOUSE TBILISI

Беларускі дом правоў чалавека імя Барыса Звозскава

25 May 2017

To: Mr. Mikheil Janelidze
Foreign Minister of Georgia
#4 Sh. Chitadze
Tbilisi
Georgia
Fax: (+995 32) 294 5001

*Delivered via email:* mfageo@mfa.gov.ge

**Georgia's support to renew the mandate of the Special Rapporteur to Belarus at the United Nations Human Rights Council**

Mr. Minister,

We, the undersigned organisations, members of the Human Rights House Tbilisi and the Barys Zvozskau Belarusian Human Rights House, write to you to urge the government of Georgia to vote in favour of the renewal of the mandate of the Special Rapporteur on the human rights situation in Belarus at the June 2017 session of the United Nations Human Rights Council.

Following a recent serious deterioration in Belarus' human rights situation, and its continued policy of non-cooperation with international human rights mechanisms, the Human Rights Council should use the renewal of the Belarus mandate to urge Belarus to return to engagement and move toward robust domestic human rights policy. The Special Rapporteur furthermore is the sole international human rights monitoring mechanism able to assess the systemic nature of the human rights violations in Belarus.

Georgia abstained in voting for the mandate in 2016, but we believe recent events provide strong reasons to vote positively for the renewal of the mandate in 2017.

The UN Special Rapporteur on Belarus concluded his 2016 report to the Human Rights Council by indicating that "no substantial changes in the repressive legal framework were discernible, despite repeated recommendations made by numerous United Nations human rights mechanisms on amending domestic laws to bring them into line with international human rights standards". Since the Human Rights Council adopted its latest resolution renewing the mandate of the Special Rapporteur, there has been no systematic improvement in the human rights situation in Belarus. On the contrary, all of the legal and systemic restrictions on freedom of expression and association remain in place, and the crackdown on peaceful protests in March 2017, the largest protests since the 2010 Presidential election, confirms the absence of political change in the country.

Peaceful protests erupted throughout the country in March 2017 with several thousand citizens taking to the streets in Minsk, Mahiliou, Hrodna, Vitsebsk and other cities, including on the occasion of Freedom Day on 25 March 2017, to oppose Presidential Decree No. 3 that introduced a tax on unemployment. Police used force to repress protesters and detained hundreds solely for peacefully exercising their rights to freedom of assembly and expression. Those detained included opposition members, journalists, and human rights defenders. The majority were later released after several hours of interrogations and intimidation. Of those formally arrested on March 25-26, 177 people were convicted of administrative offences, and over 70 of them sentenced to up to 25 days of administrative arrest, in poor conditions that could constitute degrading treatment. At least 18 journalists and bloggers were among those detained, while printed newspapers were confiscated, and access to the two independent online media websites charter97 and Belarusian Partisan, operating from abroad, was blocked during the demonstration. A number of other opposition and civic activists were arrested prior to protests in order to prevent them from participating in and from observing peaceful protests throughout the country, and released only after the end of the demonstration.[1]

After an almost 18 months break, executions in Belarus resumed in April 2016.[2] Since then the number of executions carried out is on track to be the highest number per year since 2008. Belarus has carried out death sentences despite orders for interim protection measures issued by the UN Human Rights Committee, in violation of its obligations under the International Covenant on Civil and Political Rights, and the rights of people sentenced to death, and their families, continue to be violated at all stages of the proceedings and during detention.

The government of Belarus continues to refuse to cooperate with the UN Special Rapporteur on Belarus. However, the work of the Special Rapporteur, in particular the many recommendations he has developed in the course of his mandate, should continue to serve as a roadmap towards genuine reform for the Belarusian authorities. Since its establishment in 2012, the mandate of the Special Rapporteur on Belarus has repeatedly proven its worth. It has been key not only in providing constant independent monitoring of the situation, but also in highlighting some worrying trends that had not previously received sufficient attention. At a time when the international community witnesses a new crackdown on peaceful protesters, independent media and human rights organisations, it becomes even more important to provide full support to the only independent mechanism monitoring human rights.

We count on Georgia's support of the renewal of the mandate of the Special Rapporteur at the Human Rights Council in June 2017 to ensure that the only international tool to human rights in scrutinise Belarus remains available. This is essential in view of the system of violations still in place in Belarus, which – as happened recently – can lead to the situation rapidly degenerating into an emergency, depending on the authorities' intentions.

By supporting the renewal of the Rapporteur's mandate, Georgia and the international community will send a strong signal to the Belarusian authorities and to Belarus' civil society that it is committed to lasting human rights changes in the country. We look forward to seeing

---

[1] "Freedom Day in Belarus: mass detentions and trials", available at: http://humanrightshouse.org/Articles/22355.html, also, "Belarusian 'Spring Fever' continues", available at: http://humanrightshouse.org/Articles/22385.html

[2] "Three death convicts were executed in Belarus on the same day", available at: http://humanrightshouse.org/Articles/22071.html, also, "Belarus: the first death sentence in 2017", available at: http://humanrightshouse.org/Articles/22353.html

Belarus move towards a genuine path of human rights reform that would allow human rights defenders, journalists and critics to operate without fear of arrest or harassment.

Yours sincerely,

- Human Rights House Tbilisi (on behalf of the following NGOs):
  - Article 42 of the Constitution
  - Caucasian Centre for Human Rights and Conflict Studies
  - Georgian Centre for Psychosocial and Medical Rehabilitation of Torture Victims
  - Human Rights Centre
  - Media Institute
  - Union Sapari – Women's rights organization
- The Barys Zvozskau Belarusian Human Rights House
- Human Rights House Foundation

Correspondence address:
Human Rights House Tbilisi,
M. Kantaria 11a, 0160, Tbilisi.
E-mail: tbilisi@humanrightshouse.org

***Human Rights House Foundation*** *(HRHF) protects, supports and empowers human rights defenders and their organizations. To accomplish this, HRHF brings organizations together in Human Rights Houses, and unites the Houses in an international network. HRHF advocates with partner organizations to promote the freedoms of assembly, association, and expression, and the right to be a human rights defender – to ensure that individuals and organizations can work freely and openly to protect human rights at home and abroad. Today, more than 100 independent human rights organizations work together in 16 Human Rights Houses. HRHF is based in Oslo, with an office in Geneva and representation in Brussels and Tbilisi. The Houses are located in Eastern & Western Europe, the Caucasus and the Balkans.*

*The* ***Human Rights House Tbilisi*** *is a union of human rights NGOs working in one space which defends human rights. Through the members, HRHT works towards the following directions: providing legal and psychological service, improvement of legislation, advocacy, human rights education and civil society development.*

*The* ***Barys Zvozskau Belarusian Human Rights House*** *was set up in 2006 and is run by the leading Belarusian human rights organizations to address the main challenges faced by human rights activists in Belarus - the right to assembly and freedom of expression and the right to be a human rights defender.*

**ბ-ნ მიხეილ ჯანელიძეს**
**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს**
შ. ჩიტაძის ქუჩა #4, თბილისი, საქართველო
ფაქსი:(+995 32) 294 5001

*გაგზავნილია ელექტრონული ფოსტის მისამართზე:* *mfageo@mfa.gov.ge*

**საქართველოს მხარდაჭერა განახლდეს ბელარუსში გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალური მომხსენებლის მანდატი**

ბატონო მინისტრო,

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერი ორგანიზაციები, თბილისის ადამიანის უფლებათა სახლისა და ბელარუსის ბარის ზვოზსკაუს ადამიანის უფლებათა სახლის წევრი-ორგანიზაციები, მოგმართავთ საქართველოს მთავრობას მხარი დაუჭიროთ ბელარუსში გაეროს სპეციალური მომხსენებლის მანდატის განახლებას გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 2017 წლის ივნისის სესიაზე.

ბელარუსში, ადამიანის უფლებების მდგომარეობის ბოლოდროინდელი გაუარესების შედეგად, და ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მექანიზმებთან თანამშრომლობის არარსებობის პოლიტიკიდან გამომდინარე, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ უნდა განაახლოს მისი მანდატი ბელარუსში და მოსთხოვოს ქვეყანას ხელახლა აიღოს ვალდებულება გააჯანსაღოს ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა. სპეციალური მომხსენებლის ინსტიტუტი არის ადამიანის უფლებების მონიტორინგის საერთაშორისო მექანიზმი, რომელსაც შეუძლია შეაფასოს ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების სისტემური ხასიათი ბელარუსში.

2016 წელს მანდატის განახლებისთვის გამართულ კენჭისყრაში საქართველომ თავი შეიკავა, მაგრამ გვჯერა, რომ ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ქმნიან მტკიცე საფუძველს რომ 2017 წელს მანდატის განახლებას მხარი დაუჭიროთ.

ბელარუსზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიმართ წარდგენილ თავის 2016 წლის ანგარიშში აღნიშნა, რომ „საკანონმდებლო ბაზაში არანაირი მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა, მიუხედავად გაეროს ადამიანის უფლებათა მექანიზმების მხრიდან მრავალჯერადი რეკომენდაციებისა, რომ ცვლილებები შესულიყო ადგილობრივ კანონებში მათი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობაში მოსაყვანად.“ მას შემდეგ, რაც ადამიანის უფლებათა საბჭომ მიიღო რეზოლუცია ბელარუსში სპეციალური მომხსენებლის მანდატის განახლებასთან დაკავშირებით,

არანაირი მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ადამიანის უფლებების მდგომარეობის კუთხით არ მომხდარა ქვეყანაში. პირიქით, გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებების შეზღუდვის ყველა იურიდიული და სისტემური ფორმები კვლავ სახეზეა. 2017 წლის მარტში კი ძალადობრივად დაშალეს მშვიდობიანი აქციები, რომლებიც 2010 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ყველაზე მასშტაბური იყო. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს რომ ქვეყანაში პოლიტიკური ნების ცვლილება არ მომხდარა.

მშვიდობიანი საპროტესტო აქციები ქვეყანაში 2017 წლის მარტში დაიწყო, რომლებშიც ათასობით მოქალაქე იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა ქალაქებში - მინსკი, მაჰილოუ, ჰროდნა, ვიტსბეკი და სხვა. ერთ-ერთი დემონსტრაცია გაიმართა 2017 წლის 25 მარტს, დამოუკიდებლობის დღეს, სადაც გააპროტესტეს პრეზიდენტის უმუშევრობის გადასახადის შესახებ გამოცემული ბრძანება # 3. პოლიციამ მომიტინგეების დასაშლელად ძალა გამოიყენა და დააკავა დემონსტრაციის ასობით მშვიდობიანი მონაწილე შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის გამო. დაკავებულთა შორის არიან ოპოზიციური პარტიების წევრები, ჟურნალისტები და უფლებადამცველები. მათი უმრავლესობა მოგვიანებით გაათავისუფლეს დაკითხვებისა და ზეწოლის შემდეგ. 25-26 მარტს ფორმალურად დაკავებულებიდან 177 ადამიანს ბრალი წარედგინათ ადამინისტრაციული სამართალდარღვევისთვის, და 70 ადამიანს მიესაჯა 25 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა, რომელიც უნდა მოიხადონ მძიმე პირობებში, რაც უთანაბრდება ღირსების შემლახავ მოპყრობას. სულ მცირე, 18 ჟურნალისტი და ბლოგერი იყო დაკავებულებს შორის; მოხდა ბეჭდური გაზეთების კონფისკაცია, ხოლო ორი დამოუკიდებელი ონლაინ მედია *ქარტია 97 და ბელარუსელი პარტიზანი*, რომლებიც საზღვარგარეთ ოპერირებენ, დაიბლოკა. სხვა ოპოზიციური და სამოქალაქო აქტივისტები საპროტესტო აქციებამდე დააკავეს, რათა არ მიეღოთ მონაწილეობა აქციებში ან/და ვერ განეხორციელებინათ მშვიდობიანი აქციების მონიტორინგი მთელი ქვეყნის მასშტაბით; ისინი მხოლოდ აქციების დასრულების შემდეგ გაათავისუფლეს.[3]

თითქმის 18 თვიანი შესვენების შემდეგ, ბელარუსში სიკვდილით დასჯა განახლდა 2016 წლის აპრილში.[4] მას შემდეგ, სიკვდილით დასჯის ფაქტების რიცხვმა ისე იმატა, რომ მალე 2008 წლის წლიურ მაჩვენებელს გადააჭარბებს. ბელარუსმა სისრულეში მოიყვანა სასიკვდილო განაჩენები მიუხედავად იმისა, რომ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა გამოიყენა დროებითი დაცვის ღონისძიებები ამ საქმეებთან დაკავშირებით. ამით ქვეყანამ დაარღვია მისი ვალდებულება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო კონვენციის

[3] დამოუკიდებლობის დღე ბელორუსში, მასოპრივი დემონსტრაციები და სასამართლო პროცესები, იხილეთ აქ:  http://humanrightshouse.org/Articles/22355.html, ასევე, ბელარუსის საგაზაფხულო ციებ-ცხელება გრძლედდება, იხილეთ აქ http://humanrightshouse.org/Articles/22385.html
[4] სამი სიკვდილმისჯილი სიკვდილით დასაჯეს ბელარუსში ერთ დღეს - იხილეთ აქhttp://humanrightshouse.org/Articles/22071.html,; ასევე „ბელარუსი: პირველი სიკვდილით დასჯის განაჩენი 2017 წელს“ იხილეთ აქ http://humanrightshouse.org/Articles/22353.html

მიმართ და დაარღვია სიკვდილმისჯილი ადამიანების უფლებები, მათი ოჯახების უფლებები და აგრძელებს მათ დარღვევას სამართალწარმოების ყველა ეტაპზე და დაკავების დროს.

ბელარუსის მთავრობა კვლავ უარს აცხადებს ითანამშრომლოს ბელარუსის საკითხებზე გაეროს სპეციალურ მომხსენებელთან. თუმცა, სპეციალური მომხსენებლის სამუშაო, განსაკუთრებით მისი მანდატის ფარგლებში შემუშავებული ბევრი რეკომენდაცია, მომავალშიც დარჩება ბელარუსის ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანი რეფორმების საგზაო რუკად. 2012 წელს მისი შექმნის დღიდან, ბელარუსის საკითხებზე სპეციალური მომხსენებელი მუდმივად ადასტურებდა მისი მანდატის საჭიროებას. ძალიან მნიშვნელოვანი იყო არამარტო მუდმივი დამოუკიდებელი მონიტორინგის განხორციელება, არამედ ზოგიერთი შემაშფოთებელი ტენდეციების გაშუქება, რომლებსაც მანამდე სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა. იმ დროს, როცა საერთაშორისო საზოგადოება მშვიდობიან მომიტინგეებზე, დამოუკიდებელ მედიასა და უფლებადამცველ ორგანიზაციებზე მორიგი თავდასხმის თვითმხილველი ხდება, უფრო მნიშვნელოვანი ხდება სრული მხარდაჭერა გამოვხატოთ ადამიანის უფლებების მდგომარეობის დამოუკიდებელი მონიტორინგის მექანიზმის მიმართ.

ჩვენ იმედი გვაქვს საქართველო მხარს დაუჭერს ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალური მომხსენებლის მანდატის განახლებას 2017 წლის ივნისში, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ბელარუსში შესაძლებელი გახდეს ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი საერთაშორისო მექანიზმის გამოყენება. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ დარღვევების სისტემა ისევ მოქმედებს ბელარუსში, რომელსაც, როგორც ეს ცოტა ხნის წინ მოხდა, შეუძლია სიტუაცია საგანგაშო მდგომარეობამდე მიიყვანოს, ეს დამოკიდებულია ხელისუფლების გეგმებზე.

სპეციალური მომხსენებლის მანდატის მხარდაჭერით, საქართველო და საერთაშორისო საზოგადოება გააგზავნის მძლავრ სიგნალს ბელარუსის ხელისუფლების და სამოქალაქო საზოგადოების მისამართით, რომ ის რჩება ერთგული ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართ. ჩვენ მოუთმენლად ველით როცა ბელარუსი დაადგება ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში რეფორმების გზას, რაც საშუალებას მისცემს უფლებადამცველებს, ჟურნალისტებს და კრიტიკოსებს იმუშაონ დაპატიმრების ან ძალადობის შიშის გარეშე.

პატივისცემით,

- თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი (წევრი-ორგანიზაციების სახელით)

- კონსტიტუციის 42-ე მუხლი
- ადამიანის უფლებებისა და კონფლიქტების კვლევითი ცენტრი - კავკასია

- წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი
- ადამიანის უფლებათა ცენტრი
- მედია ინსტიტუტი
- კავშირი საფარი - ორგანიზაცია ქალთა უფლებებისთვის

- ბარის ზვოზკაუს სახელობის ბელარუსის ადამიანის უფლებათა სახლი
- ადამიანის უფლებათა სახლების ფონდი

საკონტაქტო ინფორმაცია:
თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი,
მ. ქანთარიას 11ა, 0160, თბილისი, საქართველო
ელ-ფოსტა: tbilisi@humanrightshouse.org

***ადამიანის უფლებათა სახლების ფონდი (HRHF)*** *იცავს, ეხმარება და აძლიერებს უფლებადამცველებს და მათ ორგანიზაციებს. ამის მისაღწევად, ფონდი აერთიანებს ორგანიზაციებს ადამიანის უფლებათა სახლებში, და აერთიანებს სახლებს ადამიანის უფლებათა სახლების საერთაშორისო ქსელში. ფონდი პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ადვოკატირებას უწევს შეკრების, ასოციაციის და გამოხატვის თავისუფლებას და იცავს უფლებადამცველების საქმიანობის უფლებას - რათა უზრუნველყოფილი იყოს ადამიანებისა და ორგანიზაციების შესაძლებლობა იმუშაონ თავისუფალ და ღია გარემოში დაიცვან ადამიანის უფლებები შინ და საზღვარგარეთ. დღესდღეობით, 100 დამოუკიდებელ უფლებადამცველ ორგანიზაციაზე მეტი მუშაობს ერთად 16 ადამიანის უფლებათა სახლში. ფონდი დაფუძნდა ოსლოში, მას აქვს ოფისი ჟენევაში, და წარმომადგენლობა ბრიუსელსა და თბილისში. სახლები ფუნქციონირებს აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, კავკასიისა და ბალკანეთის ქვეყნებში.*

***თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი*** *არის უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების კავშირი, რომელიც მუშაობს ერთ სივრცეში და იცავს ადამიანის უფლებებს. მისი წევრების საშუალებით, თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი მუშაობს სხვადასხვა მიმართულებით: მოქალაქეებს სთავაზობს იურიდიულ და ფსიქოლოგიურ დახმარებას, მუშაობს კანონმდებლობის გაუმჯობესებაზე, ადვოკატირებაზე, ადამიანის უფლებათა განათლებაზე და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე.*

***ბარის ზვოსკაუს სახელობის ბელარუსის ადამიანის უფლებათა სახლი*** *დაფუძნდა 2006 წელს და მას მართავს ბელარუსის წამყვანი უფლებადამცველი ორგანიზაციები. მისი მიზანია რეაგირება მოახდინოს ბელარუსელი უფლებადამცველების ძირითად გამოწვევებზე - შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებასა და უფლებაზე იყო უფლებადამცველი.*